საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

MOD 6 18 01284864

20/12/2018

GRASS REFORMANDA
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 105
თარიღი: 20 12 2018 წ.

ააიპ - „საქართველოს რეფორმების ასოციაცია GRASS"-ის
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს

ბატონ დავით ქუტიძეს

მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №75გ

ბატონო დავით,

თქვენი 2018 წლის 13 ნოემბრის №207 (რეგ. №1164891; 16/11/2018) წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების ბინებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „სამხედრო მოსამსახური სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სპეციალური წოდების მქონე პირთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების 46-ე პუნქტით.

კერძოდ, ზემოთ დასახელებული №493 ბრძანებულების 46-ე პუნქტის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 აპრილის №441 ბრძანებით, შექმნილია „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურეობრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" კომისია, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის №608 ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

კომისიის გადაწყვეტილებით, 2013 წლიდან დღემდე, 1 602 (ათას ექვსას ორი) მოქმედ და ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს გაეწია რეკომენდაცია თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების საკუთრებაში გადაცემაზე (ბინების საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე).

ამასთან გაცნობებთ, რომ კონტრაქტის საფუძველზე ("ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის

№135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტი), საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს 2020 წლის ბოლომდე.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია \ ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი
ვახტანგ მელაძე

ასლი დედანთან სწორია
20.12.18